# თავისუფალი საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი  № 2  26 X 1990


[illegible]

[illegible]

ზვიად გამსახურდია



# ზვიად გამსახურდია

## იმპერიალისტთა ახალი შეთქმულება აჭარის წინააღმდეგ?!

სკამს მობღაუჭებული კარიერისტები და ადგილობრივი, დიდმასშტაბიანი მაფიოზები საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით შეეკვრნენ იმპერიის მოსურნე ცენტრალურ ხელისუფლებას და ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ აქტიურად ამუშავდნენ (საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატიულობა მათ კეთილდღეობას საფრთხეს შეუქმნის) — ასეა საქართველოს ყველა რეგიონში, მაგრამ მათ „მოღვაწეობას“ აჭარაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

იხ. მე-5 გვ.

## ფიქრები არჩევნების წინ

როცა ხელისუფლება ვერ უძლვება ქვეყნის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ცხოვრებას, მაგრამ არ სურს, დაუთმოს პოზიციები მზარდ ოპოზიციას, იგი ხელოვნურად აღვივებს ანარქიას, მიმართავს ბრძოლის სხვადასხვა ხერხებს, სახელს უტეხს ოპოზიციურ ძალებს, ხალხს შიშსა და სასოწარკვეთას უნერგავს, ხელოვნურად შექმნილ ვითარებას ოპოზიციას მიაწერს. რწმენადაკარგული ხალხი მომავლის შიშით ხმას კვლავ ძველ მთავრობას აძლევს. ხელისუფლება ამგვარად ინარჩუნებს თავის პოზიციებს.

იხ. მე-7 გვ.

## სკკპ-ს წინასაარჩევნო ოინები

თავისთავად მრავალპარტიულობის ცნება პარტიების შინაგან მოწესრიგებულობას გულისხმობს, ამდენად, სრულიად აბსურდულია, როდესაც ერთი და იგივე პირი ერთდროულად სხვადასხვა პარტიის წევრია. არადა, ამგვარი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში სავსებით გაკოტრებულ (რაღა თქმა უნდა, არა ქონებრივად) საქართველოს კომპარტიას გამარჯვების არავითარი შანსი არ რჩებოდა.

იხ. მე-6 გვ.

## წერილი გუსტავ ჰუსაკს

ის შიში, რომელზეც მოგახსენებთ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც შიში, ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ანუ, როგორც გარკვეული კონკრეტული ემოცია. ჩვენს ირგვლივ ფოთლებივით მოცახცახე ხალხის უმეტესობას კი არ ვხედავთ, არამედ თვითკმაყოფილ და თავდაჯერებულ მოქალაქეებს. აქ საქმე შიშის უფრო ღრმა, მე ვიტყოდი, ეთიკურ მნიშვნელობაშია, კოლექტიურ შეგნებაში, მუდამ და ყველგან არსებული საფრთხის, მეტად თუ ნაკლებად აღქმის წილზე...

იხ. მე-8 გვ.

# საარჩევნო ბლოკი № 12

# „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა — ინფორმაცია — ფაქტი

# ტერორი!

პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინ, იგრძნეს რა ხალხის მხარდაჭერა მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი, გააქტიურდნენ ბნელი ძალები. ამ ბოლო დროს ადგილი ჰქონდა პროვოკაციულ გამოხდომებს მრგვალი მაგიდის წარმომადგენლების მიმართ, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ტერორის მცდელობას.

22 ოქტომბერს კი, დღის 1 საათზე, უცნობმა პირებმა ტყვია დაუშინეს თემურ ქორიძის ბინას, როდესაც იგი შინიდან გადიოდა. შემთხვევის წყალობით თემურ ქორიძე გადარჩა. კარის ჩარჩოდან ამოღებულია ორი ტყვია. დაწყებულია გამოძიება. ძიებას წარმართავს გლდანის რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების გამომძიებელი რომეო ზარქუა. აღსანიშნავია, რომ რომეო ზარქუა თავის დროზე, 1988 წელს, იძიებდა თემურ ქორიძეზე თავდასხმის საქმეს.

# მზაკვრული „სატყუარა"

ამ დღეებში, ჭიათურაში ყოფნისას, შევიტყვე, რომ სკკპ წევრებს, ძირითადად სოფლებში მცხოვრებ ადამიანებს, იბარებენ და აძლევენ „ძღვენს" — 50-50 მანეთს. რისათვის?! — „კომპარტიისთვის მხარდაჭერისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის". თან ეუბნებიან, ძველმა პარტიელებმა არჩევნებში მხარი დაუჭირონ კომუნისტებს და მეტს არაფერს. ამჯერად შეგნებულად არ დავასახელებთ გვარებს.

თუ საჭირო გახდა, ამას არჩევნების შემდეგ დოკუმენტურად დავადასტურებთ.

აი, ასე, მეგობრებო, 50-მანეთიანი „სატყუარათი" იბრძვიან ზოგიერთი უკეთურები არარსებული პრესტიჟის შესანარჩუნებლად.

ვფიქრობთ, ასეთი უხამსი ფაქტები სწორედ არჩევნებამდე — 28 ოქტომბრამდე — უნდა შეიტყოს ჩვენმა საზოგადოებამ.

**გაბრიელ ბარჯაძე**

# პარტიის რიგებიდან გასულთა სოციალური დაცვის საზოგადოების შექმნის შესახებ

კარს მოგვადგა ჩვენს ისტორიაში პირველი დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები, რომლის მოახლოებასთან ერთად პირისპირ ვდგებით ხვალინდელ დღესთან. ეს ის ეტაპია, როდესაც თითოეულმა მოქალაქემ უარი უნდა თქვას მეთვალყურის პოზიციაზე და მკაფიოდ გამოხატოს თავისი დამოკიდებულება რეალურად მიმდინარე პროცესებისადმი. კომუნისტური რეჟიმის მრავალწლიანი მართვის ძირითად მემკვიდრეობად ხალხმა მიიღო საბჭოთა ხელისუფლებისადმი რწმენის და ნდობის დაკარგვა, და არა მარტო ხალხმა, არამედ თვით კომუნისტური პარტიის ფუნქციონერებმაც. ჩვენს სინამდვილეში უკვე მრავალი მაგალითი მოიპოვება იმისა, რომ თვით პარტიულ ფუნქციონერებსაც კი აღარ სწამთ, რასაც ემსახურებიან და ყოველი შემთხვევისათვის, გამალებით აყალიბებენ სხვადასხვა მსხვილ ასოციაციებს თუ კოოპერატივებს, რომელთა სათავეებში თვითონ ექცევიან და ემზადებიან „ახალი" ცხოვრებისათვის. ასეთი გაორება უდიდეს ზიანს აყენებს ჩვენი საზოგადოების არა მარტო დღევანდელობას, არამედ მის ხვალინდელ დღესაც.

მრავალპარტიულობამ ახალი ძალები შთაბერა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ დღეს უკვე საფიქრალია იმაზეც, რომ ახალი პარლამენტის არჩევნების შემდეგ გაერთიანდნენ ერთგვაროვანი პროგრამების მქონე პარტიები, რაც მოსპობს ძალების დაქსაქსულობას, გააძლიერებს მათ ბრძოლისუნარიანობას და ხელს შეუწყობს დასახული მიზნის მიღწევას. ამის აუცილებლობა დღევანდელობამაც დაგვანახა. ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს იმ პარტიების და საზოგადოებების დისკრედიტაციის გააფთრებული ცდები, რომლებმაც ავტორიტეტი და მხარდაჭერა მოიპოვეს ხალხში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესაფერხებლად ერთიმეორის მიყოლებით გამოიყენება ხელოვნური ბარიერები, „უხილავი" ძალების მიერ გათამაშებული „აქციები".

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას დღეს, როგორც არასდროს, სჭირდება მასების მხარდაჭერა. უკანასკნელ ხანს წამოიჭრა საკითხები ადმინისტრაციული და რიგი სხვა ორგანოების დეპოლიტიზაციის თაობაზე.

ვფიქრობთ, ეს აუცილებელიც არის, მაგრამ პიროვნებამ პირველ რიგში თვითონ უნდა მოახდინოს საკუთარი თავის დეპოლიტიზაცია. დღეს კომპარტიის წევრთა დიდ უმრავლესობასთან შეხვედრისას, აუცილებლად მოისმენთ ამაყად წარმოთქმულ ფრაზას: „მე უკვე ამდენი თვეა საწევრო არ გადამიხდია, არც კრებაზე ვყოფილვარ..." და სხვა. ამით იმის თქმა უნდათ, რომ ისინი მოსწყდნენ პარტიულ ცხოვრებას და სურთ მისი რიგებიდან გასვლა. მაგრამ ჯერ სხვებს უყურებენ, პირველმა მე რატომ უნდა დავითხარო თვალებიო. ეს თვალის დათხრა კი არა — თვალის ახელაა! და მერე როგორ სჭირდება დღეს საქართველოს თვალახელილი შვილები! დადგა დრო, თამამად მოვიშოროთ მორცხვობისა და შიშის ნიადაგზე დაკომპლექსება და მყარად დავდგეთ რეალურ პოზიციაზე. ორჭოფულად განწყობილი ადამიანები ვერც პარტიას მოუტანენ სიკეთეს და ვერც ეროვნულ მოძრაობას.

საბურთალოს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის წევრების და შტატგარეშე აქტივის განცხადებაში აღინიშნა, რომ ხელისუფლებისათვის გაჩაღებული ბრძოლის ჟამს ტელევიზიით, პრესით და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით ხშირად არასწორი ინფორმაციები გადაეცემა მოსახლეობას. მოქმედებენ გარკვეული ძალები, რომლებიც ხელს უშლიან დაძაბული ვითარების სტაბილიზაციას. კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მმართველობამ ქვეყანა სავალალო შედეგებამდე მიიყვანა. აღნიშნული განცხადების ავტორები გავიდნენ რა სკკპ რიგებიდან, გამოსთქვეს მოსაზრება, რომ დღეს თითოეულმა მოქალაქემ მკაფიოდ უნდა გამოხატოს თავის დამოკიდებულება არსებული სისტემის მიმართ.

მისასალმებელი და აღსანიშნავია, რომ გაზეთ „მამულში" გამოქვეყნებულ ამ განცხადებას აქტიურად დაუჭირეს მხარი რაიონის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებმა და მოსახლეობამ, რომლებმაც დაკარგეს რწმენა ლენინის პარტიისადმი და გავიდნენ სკკპ რიგებიდან. მათვე გამოსთქვეს მოსაზრება, რომ დაინტერესებული ძალები მოსახლეობაში ავრცელებენ აზრს, თითქოს სხვადასხვა პარტიები ებრძვიან კომუნისტებს. მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი, არც თუ უსაფუძვლოდ, გამოსთქვამს შეშფოთებას, პარტიის რიგებიდან გასვლის შემთხვევაში მათი შევიწროვების თაობაზე.

მოქალაქეთა შემოსული წინადადებების გაანალიზებით წარმოიშვა აზრი პარტიის რიგებიდან გასულ მოქალაქეთა სოციალური დაცვის საზოგადოების შექმნის შესახებ, რის საფუძველზეც შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც მოამზადებს რესპუბლიკური საზოგადოების დამფუძნებელ კონფერენციას და შეიმუშავებს წესდებას.

აღსანიშნავია, რომ ასეთი საზოგადოების შექმნას და მასთან თანამშრომლობას მრგვალ მაგიდასთან მხარი დაუჭირა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

კარგი იქნება, თუ ამ საკითხის ირგვლივ მკითხველები მოგვაწვდიან თავიანთ მოსაზრებებს შემდეგი მისამართით: კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 33. საორგანიზაციო კომიტეტი. მოთავსებულია საბურთალოს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შენობაში.

**საორგანიზაციო კომიტეტის სახელით:**

**თეიმურაზ ქორიძე,**
**საბურთალოს სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე;**

**თენგიზ წივწივაძე,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კათედრის გამგის მოადგილე, დოცენტი;**

**გრიგოლ ჩორგოლაშვილი,**
**საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი.**

# საქართველოს კოლონიური ძარცვა

საქართველოს „მფარველად" რუსეთის მოვლინების შემდეგ დიდი წარმატებით მიმდინარეობს ჩვენი სამშობლოს ძარცვა. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, დღემდე ოდნავადაც არ შენელებულა. პირიქით, ახალ ძალებს იკრებს და ახალ ჰორიზონტებს იპყრობს. საქართველოს საკუთრებისადმი, ქართველი ხალხისადმი ცინიკურ მოპყრობას საზღვარი არა აქვს. ამჯერად გაგაცნობთ რამდენიმე ფაქტს.

საქართველოდან საზღვარგარეთ ვაგონებით, გემებით, ტონობით გააქვთ სხვადასხვა სახის ხეღლეული, ღვინო, ჩაი, ავტომატარებლები, მოტორიანი ნავები, მაკულატურა, ჯართი, ცხიმები, მილები, ფერადი მეტალურგიის ნაწარმი, მარგანეცი... გააქვთ თბილისიდან, რუსთავიდან, ზუგდიდიდან, ბათუმიდან, სამტრედიიდან, ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, ხაშურიდან, ბორჯომიდან... გააქვთ ჰოლანდიაში, მონღოლეთში, უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, ბულგარეთში, კუბაში, საფრანგეთში, იაპონიაში, ეგვიპტეში, ეთიოპიაში, თურქეთში, იტალიაში, ფინეთში, სირიაში... გასაღების ასეთ ბაზარს რა სჯობს, მაგრამ როცა კოლონიად გთვლიან და შენ გროშიც არ გრჩება, მაშინ ამას ძარცვა ჰქვია.

ასეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია გააქვთ რუსეთშიც: ხილი, ბოსტნეული, ღვინო, ჩაი, წვენები, სოფლის მეურნეობის ძრავალი დასახელების საქონელი, ქსოვილები, ხალიჩები, ბეწვეული, სამშენებლო მასალა, მედიკამენტები, მძიმე მრეწველობის ნაწარმი, სახალხო მოხმარების საქონელი და ვინ მოთვლის, რა აღარ.

გულს არ მოგიკლავთ დაწვრილებით ჩამოთვლით და ციფრებით. გატანილი სიმდიდრის ფასი კოლოსალურია. არ გეგონოთ, ადრინდელ ფაქტებს გაწვდიდეთ, ფაქტები ახალია, წლევანდელი, ოქტომბრის თვის. რუსეთში გასატანი პროდუქცია კი 1991 წლის გეგმაშია შეტანილი. „ჩვენი მთავრობა" მაინც მიჩვეულია გაჩუქებას, საქართველოს ძარცვით გულს ვერ აუჩუყებ. ხალხი კი შიშით შეჰყურებს დაცარიელებულ დახლებს და ყველაფრის დეფიციტს.

რა სჯობს, ამდენი სიმდიდრე რომ გვაქვს და ასეთი მრავალფეროვნებით შეგვიძლია დავაინტერესოთ ძრავალი ბაზარი. მაგრამ ეს მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს იქნება სიმდიდრე, ეროვნული მთავრობის ხანაში წაადგება საქართველოს და არა ახლა, გაძარცვის ჟამს.

ახლა კი გაგაცნობთ ორ სამთავრობო დეპეშას, ბ-ნ ნოდარ ჭითანავას სახელზე გამოგზავნილს. დეპეშები შეგნებულად არ ვთარგმნეთ. ისინი ამას არ იმსახურებს. და, გარდა ამისა, ამ ხასიათის დეპეშები ორიგინალის ენაზე უფრო ადვილად აღსაქმელია. ამიტომ გთავაზობთ მათ ფოტოპირებს. კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდია:

ПРАВИТЕЛЬСТВЕННАЯ
ТЕЛЕГРАММА
СТЕРСТВО СВЯЗИ СССР

МОСКВА 274/3 84 3/10 1204=

ПРАВИТЕЛЬСТВЕННАЯ ТБИЛИСИ СОВЕТ МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР ЧИТАНАВА=

УВАЖАЕМЫЙ НОДАРИ АМРОСИЕВИЧ
ПОСТАВКА ТОВАРОВ РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ ПРЕДПРИЯТИЯМИ ГРУЗИНСКОЙ ССР В 1990 ГОДУ ОСУЩЕСТВЛЯЕТСЯ НИЖЕ ПЛАНА ТЧК СОСТОЯНИЮ 1 СЕНТЯБРЯ НЕДОГРУЖЕНО КОНДИТЕРСКИХ ИЗДЕЛИЙ 1,0 ТЫС ТОНН ЗПТ ЧАЯ 12,0 ТЫС ТОНН ЗПТ ТАБАЧНЫХ ИЗДЕЛИЙ СУММУ 18 МЛН РУБ ЗПТ ВИНА ВИНОГРАДНОГО 430 ТЫС ДАЛ ЗПТ ШАМПАНСКОГО 478,7 ТЫС ДАЛ ЗПТ МИНЕРАЛЬНОЙ ВОДЫ 9,96 МЛН БУТ ТЧК ПРОШУ ВАС ПОРУЧИТЬ СООТВЕТСТВУЮЩИМ ОРГАНАМ ОБЕСПЕЧИТЬ ПОСТАВКУ ПРОДТОВАРОВ РСФСР В СООТВЕТСТВИИ С ЗАКЛЮЧЕННЫМИ ДОГОВОРАМИ ТЧК НР 983П-10 ЗАМПРЕДСОВМИНА СКОКОВ-

МОСКВА 113401/1 89 16/10 1603=

ПРАВИТЕЛЬСТВЕННАЯ ТБИЛИСИ СОВМИН ГРУЗИНСКОЙ ЧИТАНАВА=

ОСНОВАНИИ НАРЯДА ГРУЗГЛАВПИЩЕСНАБСБЫТА 11 СЕНТЯБРЯ 1989 НР СВ 330 ГРУЗВИНПРОМ ДОЛЖЕН ПОСТАВИТЬ ПРЕДПРИЯТИЯМ МИНМЕДПРОМА 1990 ГОДУ 110 ТОНН ВИННОКАМЕННОЙ КИСЛОТЫ ФАКТИЧЕСКАЯ ПОСТАВКА 9 МЕСЯЦЕВ ТЕК ГОДА 55 ТОНН ОСТАНОВЛЕНО ПРОИЗВОДСТВО МЕДИКАМЕНТОВ КУРСКОМ ХИМФАРМЗАВОДЕ ОБЬЕДИНЕНИИ ЛАТВБИОФАРМ ПО ЛЬВОВФАРМ ТЧК ТОЖЕ ВРЕРМЯ СООБЩЕНИЮ АНЖЕРО СУДЖЕНСКОГО ХИМФАРМЗАВОДА ТБИЛИССКОЕ ПО СПИРТОВОЙ ЛИКЕРОВОДОЧНОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ ОТГРУЗИЛО ПОСЛЕДНЕМУ 18 ТОНН КИСЛОТЫ ВАЛЮТУ ПРИ НЕВЫПОЛНЕНИИ ПЛАНОВЫХ ПОСТАВОК ТЧК ЦЕЛЯХ ВЫПОЛНЕНИЯ УКАЗА ПРЕЗИДЕНТА СССР ПРОШУ ВАШЕГО УКАЗАНИЯ ГРУЗВИНПРОМУ ВОСПОЛНЕНИИ ДОПУЩЕННОГО ОТСТАВАНИЯ 9 МЕСЯЦЕВ ЗПТ ПОСТАВКЕ КИСЛОТЫ ЧЕТВЕРТОМ КВАРТАЛЕ ПОЛНОМ ОБЬЕМЕ=80486/6/67 МИНМЕДПРОМ МАРКАРЬЯНЦ- 1607

НННН 1611

# საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა ორი საუკუნის მანძილზე თავსმოხვეული სისტემის პირობებში და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის პერსპექტივები

**საქართველოს** მხიშვნელოვან ბუნებრივ რესურსებსა და მის სტრატეგიულ ადგილმდებარეობაზე კონტროლი იყო რეგიონის იმპერიულ სახელმწიფოთა მეტოქეობის ძირითადი მიზეზი. მიუხედავად საუკუნეების მანძილზე შემოსევებისა, ომებით გამოწვეული ნგრევისა და ეკონომიკური მოშლის დიდი მასშტაბებისა, ქართველი ერის მძლავრი ინდივიდუალიზმის, არახელსაყრელი პირობებისადმი მისი შეგუების უნარის, ასევე, ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსების წყალობით, საქართველოს ეკონომიკა ჰყვაოდა, ზოგჯერ უცხოური ბატონობის ქვეშაც კი. საქართველოს ეკონომიკის განვითარების ისტორია მოწმობს, რომ მას ძალუძს იყოს მაღალგანვითარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო.

საქართველოს ეკონომიკის ახლანდელი სტრუქტურა იმ განვითარების სტრატეგიის შედეგია, რომელიც დამოუკიდებლობის ბოლო პერიოდის (1918-21) გამოკლებით დაგეგმილი და თავსმოხვეულია საქართველოზე ჯერ იმპერიული რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა რუსეთის მიერ. მან ხელი შეუშალა საქართველოს, განევითარებინა თავისი ეკონომიკური პოტენციალი განვითარების სტრატეგიის სუვერენული არჩევანის საფუძველზე.

მხოლოდ იმპერიის ნედლეულის წყაროდ და გასაღების ბაზრად ქცეული საქართველო, საიმპერიო ბაზარსვე მიჯაჭვული, იზოლირებული საერთაშორისო ეკონომიკური პროცესებისაგან, განწირული აღმოჩნდა იმპერიის მოჩანჩალის როლისათვის. იმპერიული ინტერესები ნთქავდა საქართველოს მდიდარ ბუნებრივ, შრომითსა და ფინანსურ რესურსებს. დავიწყებას მიეცა საუკუნეებით გამომუშავებული და ქართველი კაცის ეთნოფსიქიკაზე დაყრდნობილი მეურნეობრიობის სისტემა, მისი გაძღოლის მეთოდები. 200-წლიანმა ულელმა, უცხო, თავს მოხვეულმა ეკონომიკურმა სისტემამ, მიწისაგან და წარმოების სხვა საშუალებებისაგან გაუცხოებამ, სახელმწიფო მონოპოლისტურმა საკუთრებამ და შესაბამისად ქართველი კაცისათვის არატრადიციულმა წარმოებითმა ურთიერთობებმა საქართველოს ეკონომიკა მაჩანჩალის გაჭირვებულ, სამარცხვინო მდგომარეობაში ჩააგდო, რომლის ლიბო ქართველი მეურნე-მეწარმისა და აღმშენებლისგან მიმთვისებლად და მომხვეჭლად აქცია. დაავიწყდა გენით კოდირებული რუდუნება შრომისადმი, იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოაქცია და გააუცხოვა. აქედან გამომდინარე, გასაღები ქართული ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობისა ქართველი მეურნის უცხო, თავსმოხვეული ეკონომიკური სისტემისგან განთავისუფლებაში ძევს.

გარანტი ჩვენი ეკონომიკის აღორძინებისა არის ის უდიდესი პოტენცია, რაც საქართველოს ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდებარეობაში, მის ბუნებრივ კლიმატურ პირობებში და ქართველი კაცის შესაძლებლობებში მდგომარეობს. ყოველივე ამის გაცნობიერება და იმ გზების ძიება, რომელიც ქართველი კაცის ძირებთან დაგვაბრუნებს, არის ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება. მხოლოდ თავისუფალ მეწარმეზე დაყრდნობილი ეკონომიკა შესძლებს შიდასაიმპერიო ეკონომიკური ზღუდის გარღვევასა და საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ჩართვას, მყარი საფუძვლის შექმნას საქართველოს სახელმწიფო სიძლიერისას და მისი სულიერი მისიის აღსრულებას, ცივილიზებულ ერთა ოჯახში საქართველოს ღირსეულ შესვლასა და დაფუძნებას.

ქართველი კაცის მეწარმის ნიჭმა ტოტალიტარიზმის პირობებშიც გაშალა ფრთები და ე. წ. ჩრდილოვანი ეკონომიკა სწორედ საქართველოში იქნა ყველაზე მეტად ფეხადგმული. სწორედ ტოტალიტარიზმის გამო მიიღო მან ზოგჯერ ასეთი მახინჯი გამოვლინება, რაც მოსახლეობის ღარიბი ფენების საზიანოდ იქცა. ჯანსაღი ეკონომიკური სისტემა — წარმოების საშუალებებზე, საქართველოს მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული — ამ ენერგიას მიმართავს მოსახლეობის ყველა ფენის სასიკეთოდ, საყოველთაო სიუხვისა და კეთილდღეობისათვის, საქართველოს ბედნიერი მომავლისათვის. მხოლოდ ამ გზით გვესახება საბჭოური ეკონომიკის მოჯადოებული წრის გარღვევა და ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ეკონომიკური განვითარების სწორ კალაპოტში გადაყვანა.

მრავალწლიანი ეკონომიკური ძარცვის, ჩვენი მეურნეობისა და სანედლეულო ბაზის გაჩანაგების თანამიმდევრული პოლიტიკის წარმოებისათვის საქართველოს მთავრობამ სსრკ-ს საკომპენსაციო პირობები უნდა წაუყენოს. აგრეთვე, საერთაშორისო სამართლებრივ აქტებზე, კერძოდ კი რესტიტუცია-სეპარაციაზე დაყრდნობით, საქართველოს სახელმწიფო საკუთრებად უნდა გამოაცხადოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა საკავშირო დაქვემდებარების წარმოება-დაწესებულება, ხოლო სტრატეგიული სამხედრო ობიექტების ირგვლივ გაიმართოს ორმხრივი მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასა და სსრკ-ს შორის.

სწორედ ამ ეკონომიკური პოლიტიკის პარლამენტში გატარება და ამით საქართველოს მომავლის უზრუნველყოფაა ჩვენი ძირითადი ამოცანა.

● საქართველოს ეკონომიკის აღორძინების ძირითადი პირობა უნდა გახდეს წარმოების საშუალებებზე საქართველოს მოქალაქეთა კერძო საკუთრება, ეს, რასა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს სახელმწიფო საკუთრების არსებობის შესაძლებლობას მეურნეობის იმ დარგებში და საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც კერძო საკუთრების ეფექტიანობა დაბალი იქნება. სახელმწიფო სექტორის პირობებში სახელმწიფო საწარმოც კერძო მესაკუთრეობის პრინციპზე უნდა იქნეს აგებული, რომლის სუბიექტიც იქნება არა სახელმწიფო ზოგადად, როგორც ეს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემისთვისაა დამახასიათებელი, არამედ საქართველოს მთავრობა, პერსონალურად, რომელიც ერის წინაშე პასუხისმგებელი იქნება მის მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოებრიობა-პრივატიზაცია უნდა განხორციელდეს თანდათანობით, ეტაპობრივად, იმ ვარაუდით, რომ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩეს მხოლოდ ის საწარმოები, რომელთა ფუნქციონირება კერძო მეწარმეობის პრინციპებზე შეუძლებელი იქნება დროის მოცემულ მომენტში. მხოლოდ დროის მოცემულ ეტაპზე, რადგან მეწარმოება არ გახლავთ სახელმწიფოს ფუნქცია, მაგრამ კრიზისული სიტუაციის გამო იგი იძულებულია თავის თავზე აიღოს ეს ფუნქციაც, და მხოლოდ კრიზისის დაძლევის კვალობაზე თანდათანობით, ეტაპობრივად განახორციელოს განსახელმწიფოებრიობა-პრივატიზაცია.

● ზოგი კვლავ დაიწყებს ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემასა და საბაზრო სისტემას შორის „მესამე გზის" დასაბუთებას. ეს არსებითად „საბაზრო სოციალიზმია", რომლის შექმნასაც სხვადასხვა ფორმით ცდილობდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები — პოლონეთი, უნგრეთი და იუგოსლავია — რეფორმის ადრეული მცდელობების დროს, 1989 წელს კომუნისტური სისტემების კრახამდე. გორბაჩოვის მიერ შემოთავაზებულ „რეფორმებსაც" აქვს „გეგმიური საბაზრო ეკონომიკის" ყველა მახასიათებელი. „საბაზრო სოციალიზმს" ვუწოდებთ თუ „გეგმიურ საბაზრო ეკონომიკას", ეს „მესამე გზა" წინააღმდეგობრივი ბუნებისაა. რესურსებს შეიძლება ანაწილებდეს საბაზრო ძალები ან ბიუროკრატია. მაგრამ ორივე ერთდროულად — შეუძლებელია. თითოეული მათგანი დაფუძნებულია აბსოლუტურად განსხვავებულ ფილოსოფიასა და წარმმართველ პრინციპებზე. მაგალითად, გორბაჩოვის „რეფორმების" პროგრამას მძიმე დროის გადატანა მოუხდა, სანამ კერძო საკუთრების ცნებას აღიარებდა, ეს კი საბაზრო ეკონომიკის ქვაკუთხედია.

საქართველომ უარი უნდა თქვას „მესამე გზის" ფუჭ იდეაზე, ვინაიდან მან არ გაამართლა. 1989 წლამდე პოლონეთმა, უნგრეთმა და იუგოსლავიამ მაქსიმალურად სცადეს ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების გატარება სოციალისტურ სისტემაში, მაგრამ ამჟამად სწორედ ესენი განიცდიან ყველაზე დიდ ეკონომიკურ არასტაბილურობას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ამის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ქვეყნების საბაზრო რეფორმები, ფაქტობრივად, ისევ ცენტრალური დაგეგმვისკენ მიდიოდა, მათ ვერ შესძლეს შეექმნათ რეალური მოქმედი ბაზრები. თუმცა, სახელმწიფო საწარმოები გათავისუფლდნენ გარკვეული კონტროლისაგან, მაგრამ ისინი მაინც დაცულნი იყვნენ კონკურენციისგან. ამასთან, ფასების დიდი ნაწილი კონტროლის ქვეშ დარჩა, ხოლო ფულის სავალუტო კურსი ისევ ხელოვნურ დონეზე აღმოჩნდა. მეტიც, მაშინ, როცა დაშვებულ იქნა გარკვეული ქვე-სექტორების (მაგალითად, სერვისების) ოპერირება, კერძო სექტორს, ფაქტობრივად, ნება დაერთო შეევსო სახელმწიფო საწარმოების მიერ შექმნილი ნაპრალები და არა ის, რომ პირდაპირი კონკურენცია გაეწია მათთვის.

რეალური კონკურენციის ნაკლებობა არის ე. წ. „საბაზრო სოციალიზმის" ძირითადი სისუსტე, ვინაიდან ამ დროს მთავრობა სახელმწიფო საწარმოების დაქვემდებარებაში აღმოჩნდება. მთავრობები რეალურად ვერ დახურავდნენ საწარმოებს მთელი რიგი მიზეზების გამო. პირველი, ბაზრის მიერ განპირობებული ფასების არარსებობის და სუსტი კონკურენციის პირობებში, შეუძლებელია ზუსტად შეაფასო საწარმოების რეალური ფინანსური მდგომარეობა. მეორე, საწარმოების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მსხვილი საწარმოები, ერთადერთი მიმწოდებლები იყვნენ, ასეთი მონოპოლიური მდგომარეობა განაპირობებდა მათ გადარჩენას ნებისმიერ ფასად, მათ შორის, საზოგადოებრივი საბანკო სისტემიდან იაფი კრედიტების და ბიუჯეტიდან სუბსიდიების გაცემით, აგრეთვე, გადასახადებიდან განთავისუფლებით. ისინი მუშაობდნენ „სუსტი საბიუჯეტო ზემოქმედების" ქვეშ. დარწმუნებული იყვნენ რა, რომ მთავრობა თითქმის შეუზღუდავი ფინანსური გადარიცხვების ფასად მაინც გადაარჩენდათ, ეს საწარმოები და მათი ხელმძღვანელები შესაბამისად იქცეოდნენ — მუშები ითხოვდნენ ხელფასების მომატებას, ხელმძღვანელები ახერხებდნენ საწარმოს შემოსავლის მისაკუთრებას საკუთარი გამორჩენისთვის. ამასობაში, საწარმოები კიდევ უფრო ნაკლებ ეფექტურნი გახდნენ, რამაც მათი კონკურენტუნარიანობის შემდგომი დაქვეითება გამოიწვია.

ამოსავლეთ ევროპაში კომუნიზმის პირობებში მიმდინარე რეფორმის პროცესი თვითშეზღუდული იყო და ამიტომაც დამარცხდა. საქართველო უნდა ეცადოს არ დაუშვას და არ დადგეს „საბაზრო სოციალიზმისაკენ" მიმავალ გზაზე. ამის ნაცვლად, ის პირდაპირ უნდა წავიდეს საბაზრო ეკონომიკისკენ, რომელიც ეყრდნობა კერძო სექტორს და ღია საერთაშორისო ვაჭრობას.

**გია მაისაშვილი,**
**საარჩევნო ბლოკის — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" — ეკონომიკური კონცეფციის თანაავტორი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი.**

## დეპუტატობის კანდიდატები



**თამარ ებრალიძე.** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრის თანამშრომელი. საარჩევნო ბლოკის — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" — დეპუტატობის კანდიდატი.

## თავისუფლება ბუნებრივი მოთხოვნილებაა

ჩვენი მომავალი უზენაესი საბჭოს წინაშე დგას ამოცანა — ძველი სტრუქტურების მოშლა და ახალი, ძველისაგან თვისობრივად განსხვავებული, მართვის პროგრესული სისტემის დანერგვა, რამაც მაქსიმალურად უმტკივნეულოდ უნდა მიგვიყვანოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე.

ეს არის ჩვენი პოლიტიკური ამოცანა, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად განხორციელდება. მაგრამ, პარალელურად ამისა, ჩვენ ვდგავართ უმნიშვნელოვანესი აუცილებლობის წინაშე — შინაგანად მოვიპოვოთ (ანუ დავიმსახუროთ) ის თავისუფლება, რომელიც ხვალ ჩვენი ცხოვრების რეალური ფაქტი გახდება. სხვანაირად ვერ შევინარჩუნებთ ამ თავისუფლებას. ეს სამყაროს ზოგადი კანონია.

მე ძლიერ მაშფოთებს ის ფაქტი, რომ დღეს, რატომღაც, იქმნება ხე-

(დასასრული მე-7 გვ.)

**სპეციალური გამოშვება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მხარდამჭერთათვის!**

**იხ. მე-4-5 გვ.**

# ქიზიყის ერთ რაიონში

„ქიზიყელებს ყველაფრით ეტყობათ, რომ თავის დღეში არ სდგმიათ ქედზე ბატონყმობის უღელი", — ბრძანებდა ერთი საუკუნის წინ იაკობ გოგებაშვილი. თავისუფლების ნიშანიც ალარ დარჩა ქიზიყის ძველთაძველ მიწაზე! ის, რაც არ ყოფილა ქიზიყში ფეოდალიზმის ხანაში, რაც მეფის რუსეთმაც კი ვერ დანერგა, სამოცდაათწლიანმა ბოლშევიკურმა რეჟიმმა დაამყარა. წითელწყაროს რაიონში დღეს ჭეშმარიტად ფეოდალური წეს-წყობილება ჰყვავის, საბჭოურ-კომუნისტური-ფეოდალური წეს-წყობილება. როგორც პარტიულ-საბჭოთა იერარქიული კოდექსითაა მიღებული, რაიონის დიდი ფეოდალი, რა თქმა უნდა, პარტიის რაიკომის პირველი მდივანია, რომელიც ამ ბოლო დროს დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად აღმასკომის თავმჯდომარეცაა.

წითელწყაროს რაიონი ძირეულად განსხვავდება როგორც ქიზიყის მეორე რაიონის, სიღნაღისაგან, ისე კახეთის სხვა რაიონებისაგან იმით, რომ ამ რაიონის მოსახლეობის წლიური შრომითი შემოსავლის 90, 95 და ლამის 100 პროცენტიც კი საკოლმეურნეო-სახელმწიფო სექტორზე მოდის და არა კერძო სექტორზე. ამისი მიზეზი კი, თავის მხრივ, ის გახლავთ, რომ წითელწყაროს რაიონის სოფლები ძირითადად გომბორის მთების ხრიოკ კალთებზეა გაშენებული, უნაყოფიერესი სახნავ-სათესი მიწები, ბაღ-ვენახები კი სოფლებიდან ათეულობით კილომეტრითაა დაშორებული და საკოლმეურნეო-სახელმწიფო საკუთრებისაა. კერძო სექტორიდან შემოსავლის სიმწირის გამო წითელწყაროელი მშრომლები იძულებულნი არიან, თავიანთი სამუშაო ძალა მიაქირაონ ფეოდალებს (რომლებიც განასახიერებენ საბჭოთა ხელისუფლებას) და თავაუღებლად იშრომონ ლუკმა-პურის მოსაპოვებლად.

მოსახლეობის თავაუღებელ შრომას სათანადოდ აფასებს ქიზიყის ბარაქიანი მიწა და წითელწყაროს რაიონი საქართველოს ერთ-ერთი ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებული, ძლიერი რაიონია. შესაბამისად, ეკონომიკურად კარგადაა მოღონიერებული წითელწყაროს პარტიულ-საბჭოთა-სამეურნეო ფეოდალია-მაფია. მშრომლები კი... სახლში რომ არაფერი გააჩნია, წითელწყაროელი მშრომელი იძულებულია ...

...

# უღირსი პარლამენტში?

ფელიქს სანაკოევის „ბიოგრაფია"

...

...რტიამ პოლიტიკური დიქტატისა და ტერორის დამკვიდრება შესძლო მხოლოდ.

ეს რომ ასეა, ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ამის შესახებ ყოველ კონკრეტულ ფაქტზე მაინც ძალიან მტკივნეულად ვრეაგირებთ. მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს „იზვესტიაში" (№ 283) მესამე გვერდის ბოლო სვეტში გაზეთ „სოვეტსკაია ბაშკირიადან" გადმობეჭდილია კორესპონდენცია სათაურით „ყოფილის ხელების მარიფათი". აქ აღწერილია პარტიის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის რ. ხ. ხაბიბულინის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტები.

შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ ხაბიბულინმა თავისი ექვსსულიანი ოჯახისათვის სამი ბინა გაიფორმა — ერთი პერმში, ორი უფაში, ოროთახიანი ბინა გამოუყო დედას და ქალიშვილს, ოთხოთახიანი ბინა გაუფორმა შვილსა და რძალს, ორდერში კი დედა და ქალიშვილი ჩაწერა, ისინი, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინ ოროთახიანი ბინა მიიღეს. თვითონ ცოლით ხუთოთახიან ბინაში ცხოვრობს. ამის შემდეგ ხაბიბულინი რჩება საბჭოთა კავშირისა და ბაშკირეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატად, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრად, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერად.

ამ კორესპონდენციის წაკითხვისას ჩემი ქალაქის, ცხინვალის ცხოვრებიდან ორი სხვადასხვა, მაგრამ ერთნაირად მტკივნეული ფაქტი ...

...

# იმპერიალისტთა ახალი შეთქმულება აჭარის წინააღმდეგ?!

...

# როცა კომენტარი ზედმეტია



...

# კომუნისტური პარტსარდამჭერთათვის

...

# ქიზიყის ერთ რაიონში

...

# დეპუტატობის „გამოცდილი" კანდიდატი

...

# სკკპ-ს წინასაარჩევნო ოინები

**1990 წლის** მაისში ჩატარდა სკკპ-ს საქართველოს ფილიალის, ე. წ. საქართველოს კომპარტიის ყრილობა. ამ ყრილობაზე ერთი უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს, კერძოდ, წესდების შესწორება, რომლის თანახმადაც სკკპ-ს რიგებიდან გასულად ითვლება ის პირი, ვინც წერილობითი განცხადებით მიმართავს სკკპ-ს რომელიმე სტრუქტურულ რგოლს. როგორც ჩანს, ეს სკკპ-სთვის მოულოდნელი თავისუფალი გასვლის უფლება საქართველოს კპ-სთვის საშუალება იყო, მოსალოდნელი მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, სასწრაფოდ შეექმნა იმპერიისადმი ერთგული ამხანაგებისაგან დაკომპლექტებული სხვა სახელების მქონე „პარტიები“. 25 მარტის არჩევნების ჩაშლის ერთ-ერთი მოტივი სწორედ მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების მოთხოვნა იყო. ასე რომ, თეორიულად არსებობდა ორი შესაძლებლობა: ან უნდა ჩატარებულიყო მრავალპარტიული არჩევნები, ან საქართველოს კპ-ს უნდა მოეხერხებინა ისეთი ქაოსური ვითარების შექმნა საქართველოში, რომ სამხედრო წესების გამოცხადება დასავლეთში არავის „გაჰკვირვებოდა“ და ასეთ მიუღებელ პირობებში ჩაეტარებინა „არჩევნები“ (სწორედ ასე განვითარდა მოვლენები აზერბაიჯანში).

თავისთავად მრავალპარტიულობის ცნება პარტიების შინაგან მოწესრიგებულობას გულისხმობს, ამდენად, სრულიად აბსურდულია, როდესაც ერთი და იგივე პირი ერთდროულად სხვადასხვა პარტიის წევრია. არადა, ამგვარი არჩევნების ჩატარების შემთხვევაში სავსებით გაკოტრებულ (რაღა თქმა უნდა, არა ქონებრივად) საქართველოს კომპარტიას გამარჯვების არავითარი შანსი არ რჩებოდა.

არსებულ ვითარებაში კომპარტიას ორად-ორი დასაყრდენი აქვს საქართველოში. პირველი გახლავთ უხეში ძალა — სსრკ-ს ჯარები, რომელთა წარმომადგენლები მიიღებდნენ რა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, უყოყმანოდ დაემორჩილებოდნენ საქართველოს კომპარტიის ბრძანებას და ხმას, რაღა თქმა უნდა, კომუნისტების სასარგებლოდ მისცემდნენ.

ხოლო მეორე დასაყრდენს წარმოადგენს ე. წ. პარტიული ელიტა — კომპარტიის აპარატი და პრივილეგირებული, რეკლამირებული „წითელი ინტელიგენცია“, რომელსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მრავალგზის გამოსვლების შედეგად კარგად იცნობს ფართო საზოგადოებრიობა. ასეთი პირების დეპუტატობის კანდიდატებად დასახელების შემთხვევაში, კომპარტია ქმნის ილუზიას, რომ სახელმწიფოს მართვის უნარი მხოლოდ მას შესწევს. ეს „არგუმენტი“ ჭრის, ზემოქმედებს ჩვენი საზოგადოების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელსაც ცხადად არა აქვს გააზრებული, რომ კომპარტიისაგან დავალებული და შესაბამისად მასზე დამოკიდებული ადამიანები ვერ შესძლებენ ეროვნული საქმის კეთებას. იმათთვის კი, ვისთვისაც ეს ნათელია, კომპარტიამ სხვა ტაქტიკა აირჩია: მან დაიწყო ახალი ორგანიზაციების შექმნა და ეს იმ დროს, როდესაც თავად საქვეყნოდ ლანძღავდა ეროვნულ მოძრაობას პარტიების სიმრავლის გამო. „პირველი მერცხალი“ გახდა ე. წ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის „აღორძინება“ (აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის იმპერიის ტაქტიკის მსგავსად). ამ პარტიის დაარსების ინიციატორთა უდიდესი უმრავლესობა სკკპ-ს არცთუ რიგითი წევრები გახლდნენ. ითვალისწინებდნენ რა იოსებ სტალინის სამწუხარო პოპულარობას ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში, შექმნეს ერთგული ლენინ-სტალინელებისაგან პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“ და ბოლოს, მრგვალი მაგიდის უდიდესი ძალისხმევის შედეგად მოპოვებული მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნის შემდეგ, სასწრაფოდ შეიქმნა ე. წ. „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი“. თუ რას წარმოადგენს ეს კავშირი, შეიძლება ვიმსჯელოთ მისი თავმჯდომარის, ბატონ ვალერიან ადვაძის მოღვაწეობის მიხედვით. გავიხსენოთ წარსული ფაქტები:

მიმდინარეობდა სსრკ სახალხო დეპუტატთა არჩევნები (ტერიტორიული და ეროვნულ-ტერიტორიული ოლქების მიხედვით). თბილისის ერთ-ერთ ტერიტორიულ ოლქში, რომელიც მოიცავდა ქ. თბილისის ოქტომბრის, კალინინისა და 1 მაისის ადმინისტრაციულ რაიონებს, კენჭს იყრიდა ცკ-ს მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი. ამავე დროს, თბილისის ეროვნულ-ტერიტორიულ ოლქებში დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებულ იყვნენ ბატონები აკაკი ბაქრაძე (ქ. თბილისის საბურთალოსა და 1 მაისის რაიონები) და ნოდარ ნათაძე (ქ. თბილისის კალინინისა და ოქტომბრის რაიონები). იმჟამინდელი საარჩევნო კანონით გათვალისწინებული იყო წინასაარჩევნო კრებები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციაში გატარება ან რეგისტრაციაზე უარის თქმა. საქმე ის გახლავთ, რომ არ იყო გათვალისწინებული ამ პროცედურის მართვის არავითარი მექანიზმი და ეს საკითხი მთლიანად ამ კრების მონაწილეთა (მათ ძირითადად აღმასკომი ნიშნავდა) სუბიექტურ მოსაზრებებზე იყო დამოკიდებული. ოფიციოზისთვის იმხანად ცხადი იყო, რომ ამომრჩეველი, რომელიც ხმას მისცემდა ბატონ აკაკის ან ბატონ ნოდარს, არ მისცემდა ხმას ჯუმბერ პატიაშვილს. ჯუმბერ პატიაშვილის დეპუტატად გაყვანისათვის აუცილებელი გახდა ან ორივე ირიბი კონკურენტის მოშორება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთის მაინც. ასეთად ამოირჩიეს ბატონი ნოდარ ნათაძე. წინასაარჩევნო კრებაზე იგი ყოველგვარი მოტივაციის გარეშე რეგისტრაციაში არ გაატარეს. საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც არ დაუშვეს ამ კრებაზე, შენობის წინ იცდიდა. კრების დამთავრების შემდეგ აღშფოთებულმა ადამიანებმა შეიტყვეს რა „გადაწყვეტილების“ შესახებ, მოითხოვეს ამ უკანონობის და უსინდისობის აღკვეთა და საკითხის გაპროტესტება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ნეტარ არიან მორწმუნენი! იქ მაშინ საქართველოს წარმოადგენდა ნოდარ ჰითანავა!!!). ამის პასუხად წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა, რომელთა შორის იყო დეპუტატობის კანდიდატად ახლადრეგისტრირებული ვალერიან ადვაძეც, გამოიძახეს ჯავშანჟილეტებიან-ხელჯოხიანი ჯარისკაცები. ასე, რომ მომავალი „ხალხის რჩეული“ ბატონი ვალერიანი პირველი წუთებიდან ლამის ხელკეტებით გაგვიმასპინძლდა. გავიდა ხანი და მოხდა ერთი შეხედვით უცნაური რამ — ბატონი ვალერიანი სსრკ უზენაეს საბჭოში მგზნებარე გამოსვლებით თავს ესხმის შოვინისტ დეპუტატებს. ამ გამოსვლების სიხშირე ზუსტადაა აწონილი — ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, გულს ვიოხებთ, საქმით გორბაჩოვს არაფერი უფუჭდება, ხოლო ბატონი ვალერიანის პოპულარობა სულ უფრო იზრდება...

1990 წლის ივნის-ივლისში ჩატარდა სსფ-ს II ყრილობა. სსფ-ს ორმა ფრაქციამ დააყენა საკითხი სსფ-დან სკკპ-ს წევრთა გამოყვანის შესახებ. პასუხად სსფ-სა და სკკპ-ს წევრი ვალერიან ადვაძე ძლიერ აღშფოთდა და სასტიკად დაგვტუქსა. მას სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა ერთი და იმავე პიროვნების ერთდროულად ორი სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის წევრად ყოფნა, მიუხედავად იმ შეუსაბამობისა, რომ ერთი იდგა ეროვნულ პოზიციაზე — სსფ, მეორე კი ანტიეროვნულზე — სკკპ. ამის შედეგად სკკპ-ს წევრებს ვადა მიეცათ — არჩევნების დაწყებამდე გაერკვიათ თავიანთი პოზიცია.

1990 წლის 17-18 აგვისტო. მრგვალი მაგიდის მიერ ორგანიზებული მანიფესტაციები მთავრობის სახლთან მრავალპარტიული არჩევნების მოთხოვნით. 1990 წლის 27 აგვისტოს დაფუძნდა „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი (პარტიების რეგისტრაციის ვადის გასვლამდე 3 დღით ადრე!). ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დასაბუთებული უარი უთხრა რეგისტრაციაზე ახლადგამოჩეკილ „პარტიას“, სამაგიეროდ კპ ცკ-ს დამჯერმა საბჭოურმა სასამართლომ გააუქმა ეს სამართლიანი გადაწყვეტილება (!). გაჩნდა ახალი წინააღმდეგობა: ამ კავშირის წევრთა უდიდესი უმრავლესობა სკკპ-ს წევრი გახლდათ. ამასთანავე ისინი იყვნენ არა რიგითი წევრები, არამედ სკკპ-ს მიერ განსაკუთრებული წყალობით გამორჩეულნი. საარჩევნო კანონის 36-ე მუხლი კრძალავს პარტიული სიით დეპუტატობის კანდიდატად ისეთი პირის დასახელებას, რომელიც არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე სხვა პარტიის წევრია. სასწრაფოდ იწერება, განცხადებები სკკპ-ს დატოვების შესახებ (გაიხსენეთ სსფ-ს II ყრილობა!) და აი აქ გამოადგათ საქართველოს კპ-ს მაისის ყრილობის უცნაური გადაწყვეტილება: ახალი წესდების მიხედვით შესაძლებელი გახდა ასეთი განცხადების დაწერა და მისი არსად რეგისტრირება, ე. ი. შეიქმნა ისეთი ვითარება, რომ შეუძლებელი გახდა იმის დადგენა, თუ როდის დაიწერა ესა თუ ის განცხადება. არადა, საარჩევნო კანონისთვის თარიღს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — განცხადებები უნდა დაწერილიყო 1990 წლის 24 სექტემბრამდე (!).

„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“-ს ინიციატივით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო „ორპარტიულობის“ შემოწმება. ამის შედეგად არჩევნებიდან მოიხსნა (მადლობა ღმერთს!) პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი“ (სიების გაყალბებისთვის!), აგრარული კავშირი, მთიელთა კავშირი... და არა „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი“. ამ კავშირიდან დასახელებული დეპუტატობის კანდიდატთა განცხადებები სკკპ-დან გასვლის თაობაზე დათარიღებულია ა. წ. აგვისტო-სექტემბრით, მაგრამ არსად არის დამოწმებული ამ თარიღების უტყუარობა. წარმოიდგინეთ, დევს სადღაც უჯრაში ქაღალდის უბრალო ფურცელი და თუ როდის დაიდო ეს ფურცელი, ამის შესახებ ცნობას გვაძლევს პირველადი პარტორგანიზაციის წარმომადგენელი (ხშირად ყოფილი) და სხვა არავითარი მტკიცება, სარეგისტრაციო ჟურნალში არავითარი ჩანაწერი, არაფერი, თავაზიანი განცხადების გარდა — არ გვენდობით? თუ გავითვალისწინებთ, რომ კომპარტიას ყოველთვის საბუთები განსაკუთრებულად სანიმუშო წესრიგში ჰქონდა, საკვირველია, რა მოხდა? ოთხ თვეში ასე „გარდაიქმნა“ საქართველოს კომპარტია? საეჭვოა. თუმცა ეს მკითხველმა თავად განსაჯოს.

**გიორგი გულბანი**

## დეპუტატობის კანდიდატები

ეროვნული



### მერაბ კიკნაძე

**ფიზიკოსი, საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“. კენჭს იყრის 22-ე საარჩევნო ოლქში.**

წინასაარჩევნო კამპანიამ დაგვანახა, რომ ამომრჩევლები ზოგადი ხასიათის მხჯელობით აღარ კმაყოფილდებიან, დეპუტატობის კანდიდატებისაგან მწვავე პრობლემათა (ასეთი კი უამრავია) გადაწყვეტის კონკრეტულ გეგმებს ითხოვენ. საერთოდ, კანდიდატთა მიმართ მომთხოვნელობის დონე მკვეთრად ამაღლდა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მომავალ პარლამენტზე ხალხი დიდ იმედებს ამყარებს.

რა მოსაზრებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ უზენაესი საბჭოს დეპუტატის არჩევისას? სამწუხაროდ, ჯერჯერობით შეუძლებელია პროფესიული კრიტერიუმების გამოყენება, ვინაიდან საპარლამენტო ტიპის პოლიტიკოსის პროფესია ჩვენში დღემდე არ არსებობს. ჩემი აზრით, უმთავრესია სწორად გააზრებულ ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, გააზრებული პოლიტიკური ორიენტაცია. ასევე მნიშვნელოვანია ნაკლებად ინერციული, მოქნილი აზროვნება, რაც გამორიცხავს დოქტრინიორობას — ერთხელ მოფიქრებული, თუნდაც სხარტი აზრის ტყვეობაში ყოფნას. მხოლოდ ასეთი თვისებების მქონე ადამიანები მოახერხებენ იმ პოლიტიკური ატმოსფეროს შექმნას, რომელიც შესაძლებელს გახდის ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანების გადაჭრას.

ალბათ, შეცდომა იქნებოდა ამა თუ იმ პიროვნების პოპულარობის გათვალისწინება. პოპულარობას არა აქვს პირდაპირი კავშირი ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებთან, ხშირად სავსებით გამორიცხავს კიდეც მათ.

და კიდევ — ცრუ ფასეულობებისა და ავტორიტეტებისაგან განთავისუფლების პროცესი ბევრი ჩვენთაგანისათვის ნებისმიერ ავტორიტეტთან ბრძოლის ფორმას იღებს. ამას განსაკუთრებით სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკის სფეროში, სადაც ჭეშმარიტი ავტორიტეტები ისედაც თითზე ჩამოსათვლელი გვყავს. მხოლოდ პიროვნული თვითდამკვიდრებით დაინტერესებული „მებრძოლებისაგან“ შედგენილი მომავალი „უზენაესი“ კი ისეთივე უფუნქციო იქნება, როგორც წარსულის უსახური „უმაღლესი“.

### ირაკლი მასხარაშვილი

**არქიტექტორი, საარჩევნო ბლოკი — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“.**

როგორ გამოვიყენებდი ჩემს ყოფნას პარლამენტში?

არასდროს არ მიფიქრია, ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის კატეგორიულად შორს ვიყავი პოლიტიკისაგან. ჩემი აზრით, ჩვენი პარლამენტი პროფესიონალმა პოლიტიკოსებმა უნდა შეავსონ და აკეთონ თავისი საქმე.

რაკი მაინც დავუშვი ჩემი, როგორც არქიტექტორის, იქ ყოფნა, ალბათ, დაუფიქრებლად უნდა გამოვუცხადო ომი იმ მანკიერებას, რომელმაც განუკითხაობა გააბატონა დღევანდელ ქართულ არქიტექტურასა და განსაკუთრებით ქალაქმშენებლობაში.

ეს განუკითხაობა რომ არა:

— ხომ არ ექნებოდა ადგილი პარტოკრატიის თავგასულობას ქალაქმშენებლობაში, რაც სავალალო შედეგით დამთავრდა. სამუდამო დაღი დაასვა თბილისს და კერძოდ რუსთაველის პროსპექტს ეგრეთწოდებული რესპუბლიკის მოედნით.

— ხომ არ შეიქმნებოდა სულ ახლახან სასტუმრო „მეტეხის“ კურიოზული „სიურპრიზი“, რამაც თავისი მოულოდნელი „ეფექტით“ სახტად დაგვტოვა და ამასთან, აბუჩადაც აიგდო ძველი თბილისის განაშენიანების მასშტაბიც და არქიტექტურაც.

— ხომ აღარ იარსებებდა წინაპირობა ისეთი უხერხული და



საგანგაშო ვითარებისათვის, რაც ჩამოყალიბდა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის პროექტზე ახლახანს დამთავრებული კონკურსის შედეგის გარშემო.

— და ა. შ.

იცით, რატომ ხდება ეს? ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ დიდი ხანია მივეჩვიეთ ზნეობრივ სიზარმაცეს. რომ მკითხოთ — რით ვუშველოთ ამ საქმეს — გადაჭრით პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ ერთი კი ცხადია — უნდა შეიქმნას ისეთი საკანონმდებლო მექანიზმი, რომელიც საიმედოდ გადაუღობავს გზას მოქალაქეობრივ უპასუხისმგებლობას, დაბალ პროფესიონალიზმს და საეჭვო გემოვნებას ქართულ არქიტექტურაში.

ამის გაკეთება მხოლოდ პარლამენტს შეუძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიქრები არჩევნების წინ



**მანანა გაბაშვილი. — აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი. საარჩევნო ბლოკის — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" — დეპუტატობის კანდიდატი. კენჭს იყრის სამგორის №18 საარჩევნო ოლქში.**

**საქართველოში** ამჟამად მიმდი- არე წინასაარჩევნო კამპანიას სხვა ვეყნებისთვის უპრეცენდენტო ხის- ნთვისებები აქვს. ასეთ დროს ყვე- გან მკაცრად აკრიტიკებენ არსე- ულ ხელისუფლებას, მაგალითად, ნგლისში, სადაც ახლახან დაიწყო აარჩევნო კამპანია, მარტო ერთი აზეთის — „გარდიანის" — მიხე- ვითაც აშკარაა, თუ კრიტიკის რო- ორ ქარცეცხლში ატარებენ ტეტ- ერის ხელისუფლებას. ახლა გადა- ხედოთ ქართულ პრესას. ამ მხრივ ანუგეშოს ვერაფერს ვნახავთ. თვით უსეთის პრესაც კი მთავრობისა და მართველი პარტიის კრიტიკის თვა- საზრისით გაცილებით შორს არის ასული, თუნდაც გაზეთი „პრავ- ა". რით აიხსნება ეს? გარკვეული იშით იმ ძალის მიმართ, რომელიც ერჯერობით ინარჩუნებს მმართვე- ობის სადავეებს, თუ გამოუცდე- ობით? ვფიქრობთ, სავარაუდოა რთიც და მეორეც.

ყოვლად გაუმართლებელია აგრე- ვე უმაღლესი საბჭოს დეპუტატო- ის კანდიდატის მიერ ისეთი დაპი- რებების მიცემა, რაც არ შედის ის კომპეტენციაში — გზის გა- ყვანა, სხვადასხვა საყოფაცხოვრე- ო პრობლემების მოგვარება. ხალ- ის გაჭირვებაზე თამაში, ადამიან- ა გარკვეული ჯგუფის გულის მო- გება არჩევნების წინ არის მავნე დემაგოგია და ანტიდემოკრატიუ- ლი საქციელი, რაც უნდა ისჯებო- დეს. რადგანაც დეპუტატმა უნდა იზრუნველყოს ისეთი კანონების შე- მუშავება, რომელიც ყველა მოქა- ლაქის ინტერესებს დაიცავს.

სამწუხაროდ, ზოგ ქართველ კო- მუნისტს არ შეუგნია, რომ კომუ- ნისტურმა იდეამ სრული კრახი განიცადა და ხელოვნურად, სხვადასხვა ხერხებით ცდილობს მისი არსებობის გახანგრძლივებას, დრომოჭმული სტრუქტურების შენარჩუნებას. ეს იგივეა, მომაკვდავს წამლებით გაუხანგრძლივო აგონია. ის, რაც დღეს ხდება და რისი მოწმენიც ვართ, არის ისტორიის შინაგანი კანონზომიერება და არა ცალკეული ადამიანების კაპრიზი — პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წელს იყო პროგნოზირებული. ასე, რომ მასში ხელოვნური ჩარევა, აგიტაციით, საბოტაჟით, თუნდაც ტერორით მხოლოდ შეაფერხებს, მაგრამ, ცხადია, ვერ შეაჩერებს ამ პროცესს.

ცნობილია, რომ ყველგან, სადაც ტოტალიტარული სტრუქტურები ირღვევა, მსგავსი მოვლენები ვითარდება. ამის შესანიშნავი მაგალითია აღმოსავლეთ ევროპაში, ბალტიისპირეთსა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესები. მაგალითად გერმანელებისა და რუმინელების მიერ სუკ-ის შენობის დარბევა, ბულგარელების მიერ ცეკა-ს შენობის დანგრევა, გერმანელი ახალგაზრდების ერთი ნაწილის მიერ გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგ გამოსვლა, რასაც შეტაკება მოჰყვა. ლიტვაში დემონსტრანტების მიერ კაზიმირა პრუნსკიენეს, რომელიც ადრე კომპარტიის წევრი იყო და მთავრობაში შედიოდა, სუკ-ის აგენტად გამოცხადება. უცხო არ არის ზემოთ აღნიშნული ქვეყნებისათვის ოპოზიციებს შორის დაპირისპირება და

შული, ეროვნულ მოძრაობაში პროვოკატორების შეშვება და სხვა. საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის რღვევის პერიოდისთვის დამახასიათებელი ყველა საერთო ნიშანი ოფიციალურმა ხელისუფლებამ გამოიყენა მრავალპარტიული არჩევნებისა და ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციისთვის, ყოველივე ეს მიაწერა ქართველი კაცის ხასიათსა და ბუნებას.

ამ მოვლენის დასახასიათებლად უაღრესად საინტერესოა საფრანგეთში ჯერ კიდევ 1961 წელს გამოსული ცნობილი ფრანგი სოციოლოგის ჟაკ ელიულის წიგნი „პროპაგანდის თეორია", სადაც მოცემულია ანალიზი სიტუაციისა, როცა ხელისუფლება ვერ უძლებს ქვეყნის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ ცხოვრებას, მაგრამ არ სურს, დაუთმოს პოზიციები მზარდ ოპოზიციას. იგი ხელოვნურად აღვივებს ანარქიას, მიმართავს ბრძოლის სხვადასხვა ხერხებს, სახელს უტეხს ოპოზიციურ ძალებს, ხალხს შიშსა და სასოწარკვეთას უნერგავს, ხელოვნურად შექმნილ რთულ ვითარებას ოპოზიციას მიაწერს. რწმენადაკარგული ხალხი მომავლის შიშით ხმას კვლავ ძველ მთავრობას აძლევს. ხელისუფლება ამგვარად ინარჩუნებს თავის პოზიციებს.

შესაბამისი სცენარით დაწერილი ასეთი პოლიტიკის გატარება ხალხის დეზორიენტაციის ყველაზე კარგ საშუალებას წარმოადგენს.

ამა წლის ზაფხულში ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გაიმართა სჯა-ბაასი იმის თაობაზე, ძალუძს თუ არა საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა. თავისთავად საკითხის ასე დასმა არასწორია და შეურაცხმყოფელიც იმ ერისთვის, რომელსაც სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, ძველი ისტორია და კულტურა აქვს, შიგ რომ არ იყო ჩადებული გამიზნული ფსიქოლოგიური ზემოქმედების მექანიზმი. განა ფინეთი, დანია, იაპონია, დღეს მოწინავე მაღალგანვითარებული ქვეყნები ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით გაცილებით ღარიბნი არ არიან, ვიდრე საქართველო?

გამიზნულად ხდება აგრეთვე უცხოეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებისა და საზოგადოებრივი აზრის ცალმხრივად გაშუქება. როგორც წესი, ჩვენს პრესაში იბეჭდება ისეთი მასალები სადაც ხაზგასმულია, რომ ევროპა და ამერიკა მხარს უჭერენ მ. გორბაჩოვის პოლიტიკას და საკუთარი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ხელს უშლიან საბჭოთა კავშირის დაშლას. ამ დროს აღნიშნულ ფრთას ჰყავს თავისი ოპოზიცია, რომელიც თვლის, რომ დიდი და უმართავი ქვეყნის არსებობა გაცილებით სახიფათოა მათთვის და ურთიერთობაც — ძნელი. ამიტომ მხოლოდ საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაშლაში ხედავენ გამოსავალს, მაგრამ ეს ჩვენს პრესაში არ არის ასახული.

საქართველოს ჩიხიდან გამოყვანა და უმძიმესი სიტუაციიდან გამოსვლა მხოლოდ ძირეული რეფორმების ჩატარებისა და მოწინავე ქვეყნების გამოცდილების, მათი მოდელის შემოქმედებითად გადმოღებით შეიძლება.

ვიდრე პარტოკრატია მართავს ეკონომიკას, მოსახლეობის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, გაიზრდება აგრეთვე სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებული დანაშაული. ოფიციალური მონაცემებით საქართველოში მოსახლეობის ერთი მესამედი ცხოვრობს სიღარიბის ზღვრულ დასაშვებ ნორმაზე დაბლა. პარადოქსულია, რომ ოფიციალურად განსაზღვრული არ არის, თუ რა არის ეს ნორმა.

მთავრობის შეფასების კრიტერიუმი ყველა განვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკაა, ამიტომ მთავრობა იცავს მისი მოსახლეობის ეკონომიკურ ინტერესებს. ინფლაციის შემთხვევაში იზრდება ხელფასები. ჩვენთან ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა კი არ მიმდინარეობს, პირიქით, მთელი დატვირთვით ამუშავებენ ფულის საბეჭდ მანქანას, რაც, ფაქტობრივად, ეკონომიკური ომია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

უცხოეთში არსებობს ასეთი ცნება — ცხოვრების ხარისხი. შეიძლება იყო მდიდარი, მაგრამ შენი ცხოვრების ხარისხი დაბალი იყოს. ეს ნიშნავს, ცხოვრობდე ხმაურიან, გაჭუჭყიანებულ ეკოლოგიურ გარემოში, იკვებებოდე დაბინძურებული საკვებითა და წყლით, გქონდეს ცუდი სამედიცინო მომსახურება და სხვა. სწორედ ცხოვრების ხარისხის დაბალი დონეა იმის მიზეზი, რომ მთელს საბჭოთა კავშირში და კონკრეტულად საქართველოში ბავშვთა და მოზრდილთა ავადობა მაღალია, სიცოცხლის ხანგრძლივობა კი — დაბალი. სამწუხაროდ, სიკვდილიანობის მხრივ საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. როგორც საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ყოფილმა მინისტრმა ჩაზოვმა განაცხადა, საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა აგრეთვე კიბოს დაავადებების თვალსაზრისითაც. ბოლო დროს საგრძნობლად გაიზარდა სისხლის დაავადებები ბავშვებში და სხვა. ჩვენში ადამიანები იღუპებიან იმ სნეულებებით, რაც განვითარებულ ქვეყნებში პრობლემას აღარ წარმოადგენს. პროგნოზით, არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. ასე რომ, საზოგადოება არა მარტო სულიერი და ზნეობრივი კრიზისის, არამედ ფიზიკური განადგურების წინაშეც დგას. ფაქტობრივად, დღეს ყველა მსხვერპლია, ისიც, ვინც მოერგო ამ სისტემას, მაგრამ გაცნობიერებული არა აქვს ეს და ისიც, ვინც ვერ მოერგო მას. შემთხვევით არ არის, რომ მოსკოვში, ერთ-ერთ დემონსტრაციაზე, ახალგაზრდა რუსმა დემოკრატებმა გამოიტანეს ლოზუნგი: დავეწიოთ და გავუსწროთ აფრიკას. ეს ხუმრობა არ იყო, რადგან ცხოვრების ხარისხის თვალსაზრისით აფრიკის ქვეყნებთან შედარებით გაცილებით დაბლა ვდგავართ. ამიტომ ყველამ უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენ ან უნდა დავდგეთ თანამედროვე ცივილიზებული ერების გვერდით, ან რეზერვაციებში მყოფ ინდიელებს დავემსგავსოთ.

საქართველოში შექმნილ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას ემატება ქართველთა მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაც. ამას წინათ ჟურნალმა **„Москва"** (1990 წ. მაისი) გამოაქვეყნა სტატია ამერიკელი მეცნიერისა, რომელმაც დემოგრაფიული თვალსაზრისით შეისწავლა ამიერკავკასია. მისი მონაცემებით ამიერკავკასიაში 2015-2030 წლებისთვის 8-10 მილიონი სომხური და აზერბაიჯანული მოსახლეობა იქნება და მხოლოდ 3-5 მილიონი ქართველი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ კომუნისტური ხელისუფლება გარკვეული პოლიტიკის გამო ასეთ მონაცემებს დღემდე ჩქმალავს.

დასავლეთის დამოკიდებულება კომუნისტური იდეოლოგიისადმი ცნობილია. ამიტომ, რაგინდ სახეშეცვლილი არ უნდა იყოს ქართველ კომუნისტთა იდეოლოგია, უცხოეთი მაინც ეჭვის თვალით შეხედავს მას. ქართველი ხალხის მიერ გაკეთებულ არჩევანზე ბევრად იქნება დამოკიდებული მსოფლიო მოწინავე ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი ჩვენს სამშობლოზე. ამაზეა აგრეთვე დამოკიდებული მათი ეკონომიკური თანამშრომლობა საქართველოსთან, მხედველობაში გვაქვს სოლიდური და არა ის საეჭვო რეპუტაციის ფირმები, დღეს ასე რომ ილტვიან ჩვენთან თანამშრომლობაზე.

აღნიშნული და სხვა ვითარების გათვალისწინებით ამომრჩეველს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, რას აძლევს ხმას — ტალონებს, პარტოკრატიის დიქტატს, ეკონომიკურად განწირულ, დაკაბალებულ, თუ თავისუფალ, დემოკრატიულ, ეკონომიკურად ძლიერ, მომავლის პერსპექტივების მქონე საქართველოს.

## დეპუტატობის კანდიდატები

დეპუტატობის კანდიდატები

(დასასრული)

# თავისუფლება ბუნებრივი მოთხოვნილებაა

ლოვნური კონფრონტაცია საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და საქართველოში პიროვნული თავისუფლების იდეებს შორის. ისეთი ხაზგასმული დაბეჯითებით იხმარება სიტყვები: „დემოკრატია", „პლურალიზმი", „რელიგიური შემწყნარებლობა", „ადამიანის უფლებათა ხელშეუხებლობა", თითქოს საქართველოში დღეს რეალურად არსებობდეს საშიშროება იმისა, რომ სამომავლოდ, რაღაც მიზეზის გამო, ჩვენს ყოფაში ვერ მოიკიდებს ფეხს ეს პრინციპები. პიროვნული თავისუფლების დამაბრკოლებელ მიზეზად ზოგჯერ ჩვენი ეროვნული თვითშეგნებაც იგულისხმება. ამასთან დაკავშირებით ხშირად ასეთ აბსურდულ ფრაზასაც გაიგონებთ: „სულ არ მინდა თავისუფლება, თუ პიროვნულად ისევ მონად დავრჩი!"

მართალია, ჩემთვის ძნელი მისახვედრია, რა ისეთი შეღავათია ორმაგი მონობა, რომ იგი უტყუარი კატეგორიულობით ვარჩიოთ ერთმაგს, მაგრამ ამას ახლა არა აქვს მნიშვნელობა, მთავარი აქ სხვა რამეა — პრობლემის ამგვარი დაყენება თვით ამ სიტყვების: — „მონობისა" და „თავისუფლების" — მნიშვნელობის დაკნინებას, გამოშიგვნას, გამოცარიელებას იწვევს და ამიტომ თავისუფლებას დანატრებული ადამიანისთვის ყოვლად მიუღებელ ხასიათს იძენს. მონობა და თავისუფლება ისეთი კატეგორიებია, რომელიც ვერ იტანს ფარდობითობას. ან მონა ხარ, ან თავისუფალი ადამიანი. ნაწილობრივ მონა, ან ნაწილობრივ თავისუფალი ადამიანი არ არსებობს, როგორც არ არსებობს ცოტა ორსული, ან ცოტა მკვდარი.

მე არ მესმის და ვერასოდეს გავიგებ, რა ლოგიკით უპირისპირდება ერთმანეთს ორი ურთიერთშემცველი ცნება — ეროვნული და პიროვნული თავისუფლება, რატომ გვაქვს სურვილი, გაფორმდეს ეროვნული ინტერესები ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ერთგვარ უარყოფად. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში ხელოვნურად დაპირისპირებული ეს ცნებები, ვიმეორებ, ზოგადად არა თუ არ ეწინააღმდეგება, პირიქით, მოიცავს კიდეც ერთმანეთს. ეს აქსიომატური ჭეშმარიტებაა. უცნაურია, რომ ასეთ განსწავლულ ეპოქაში გვჭირდება ამის მტკიცება.

სხვა არის საკითხის დასმა ეროვნული და პიროვნული **ინტერესების** ურთიერთმიმართების შესახებ. აქ კი თავს უფლებას მივცემ, სავსებით ცალსახად და კატეგორიულად ვამტკიცო, რომ ეროვნული ინტერესების პიროვნულზე მაღლა დაყენების გარეშე ვერავითარ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს ვერ დავიმკვიდრებთ. კარგად მესმის, რაოდენ ძნელი იქნება ჯოჯოხეთგამოვლილი ადამიანისთვის ერთგვარი პიროვნული თვითშეზღუდვის აუცილებლობის გაცნობიერება, მაგრამ ისიც მესმის, რომ სწორედ მოქალაქეობრივი თვითშეგნების სიღრმეზე, სულიერი ამაღლებისა და რაფინირების ხარისხზე იქნება დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს და თითოეული ჩვენთაგანის, როგორც საქართველოს მოქალაქის, თავისუფლება.

ცოტათი თავისუფალ ადამიანს ცოტა თავისუფლება ყოფნის, მისთვის აუცილებელი საჭიროების ფარგლებში — მხოლოდ პიროვნული. ასე ვთქვათ, მიკროთავისუფლება. ამგვარი თავისუფლების მოსაპოვებლად იბრძვის დღეს პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, შუალედური კატეგორია თავისუფლებას არ გააჩნია. ცოტა თავისუფლება ისევ მხოლოდ მონობას ნიშნავს. ხოლო მონისთვის გაუგებარი და შეუთავსებელია თავისუფლებისკენ სწრაფვა, ამიტომ როცა ის ამგვარ მოვლენას აწყდება, ცდილობს თავისთვის გასაგები მოტივები მიუსადაგოს მას. ასეთი მოტივები მისთვის არის — პატივმოყვარეობა, ძალაუფლებისკენ ლტოლვა, დიდებისმოსურნეობა, ამპარტავნობა და სხვა. იგივე მონობა არის მიზეზი იმისა, რომ ასეთი პრინციპული სიჯიუტით ეძებენ ჩვენი ოპონენტები ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ისეთ მისწრაფებებს, რომელნიც თავისი არსით შეუთავსებელნი არიან ამ ყველაზე კეთილშობილური მოძრაობისათვის — რასიზმს, ფაშიზმს, ბოლშევიზმს, ნაციზმს, ნეობოლშევიზმს და სხვა.

თავისუფლებას დამატებითი მოტივაცია არ ესაჭიროება. ეს არ არის არც ზნეობრივი, არც ფილოსოფიური კატეგორია. თავისუფლება ნორმალური ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და მხოლოდ მისი უქონლობა ბადებს შიშს სხვისი თავისუფლების მიმართ. უნდა ვეცადოთ, როგორმე დავაღწიოთ თავი ამ შიშს და გავიგოთ, რომ სხვისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ მხოლოდ მანამდე დაგვაფრთხობს, ვიდრე თვით ჩვენში არ მომწიფდება ამის სულიერი მოთხოვნილება.

მსოფლიოს გამორჩეული პოლიტიკოსები

# ვაცლავ ჰაველი

# წერილი გუსტავ ჰუსაკს

**ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, პატივცემულ ბატონ დოქტორ გუსტავ ჰუსაკს**

**პატივცემულო ბატონო დოქტორო!**

ჩვენს ქარხნებსა და დაწესებულებებში დისციპლინის მკაცრი დაცვით მიმდინარეობს მუშაობა, ცხოვრების დონის ნელი ზრდისას მოქალაქეთა შრომას შესამჩნევი შედეგები აქვს, ხალხი იშენებს სახლებს, ყიდულობს მანქანებს, აჩენს ბავშვებს, ერთობა, ცხოვრობს,

ყოველივე ეს — როდესაც საქმე თქვენი პოლიტიკის წარმატებასა თუ წარუმატებლობას ეხება — რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრს არაფერს ნიშნავს; ყოველი საზოგადოებრივი მღელვარების შემდეგ ხალხი, ბოლოსდაბოლოს, უბრუნდება ყოველდღიურ საქმიანობას, იმიტომ, რომ უბრალოდ ცხოვრება უნდა, ბოლოსდაბოლოს, ამას საკუთარი თავისათვის აკეთებს და არა ამა თუ იმ სახელმწიფო მმართველობისათვის.

რა თქმა უნდა, ხალხი მარტო იმას კი არ აკეთებს, რომ დადის სამსახურში, იძენს და თავისებურად ცხოვრობს, იგი მეტსაც აკეთებს: იღებს უამრავ შრომით ვალდებულებას, რასაც ასრულებს და თანაც გადაჭარბებით, ერთიანად მონაწილეობს არჩევნებში და ერთსულოვნად ირჩევს შემოთავაზებულ კანდიდატებს, აქტიურად მუშაობს სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებში; მონაწილეობას იღებს კრებებსა და აღლუმებში, ყველაფერს, რასაც მხარი უნდა დაუჭიროს, მხარს უჭერს; მთავრობის საქმიანობაში შეუძლებელია შეინიშნოს უთანხმოების რაიმე ნიშნები.

ეს რეალობა არცთუ ისე ადვილი გადასალახავია! აქ უკვე სერიოზულად უნდა დაისვას კითხვა: ხომ არ ადასტურებს ეს ყოველივე, რომ თქვენ მოახერხეთ წარმატებით შეგესრულებინათ ის პროგრამა, რომელიც თქვენმა ხელმძღვანელობამ დაგისახათ, სახელდობრ, მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება და ქვეყანაში ურთიერთობათა კონსოლიდაცია?

პასუხი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას ვიგულისხმებთ კონსოლიდაციაში.

თუ მისი საზომის ერთადერთ ერთეულად მივიჩნევთ სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემთა და საუწყებო ან პოლიციის ანგარიშთა ციფრებს მოქალაქეთა პოლიტიკურ აქტივობასა და მსგავს რამეებზე, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენში არსებულ კონსოლიდაციაში ეჭვს ძნელად თუ შევიტანთ.

მაგრამ თუ კონსოლიდაციაში უფრო მეტს ვიგულისხმებთ, სახელდობრ, საზოგადოების ნამდვილ შინაგან მდგომარეობას, მაშინ? რა მოხდება, თუ დავიწყებთ გამოკითხვას სხვა, შესაძლოა არა ასე ადვილად აღსარიცხ რამეებზე, — მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანზე, — მაგალითად, იმაზე, თუ სინამდვილეში რა იმალება, პირადი ადამიანური გამოცდილების თვალსაზრისით, ყველა ამ ციფრის მიღმა? რა მოხდება, თუკი ასეთ კითხვებსაც დავსვამთ, მაგალითად: რა გაკეთდა საზოგადოების მორალური და სულიერი განახლებისათვის, ჭეშმარიტად ადამიანური განზომილების განვითარებისათვის, ადამიანის ღირსებების ამაღლებისათვის, მისი ჭეშმარიტად თავისუფალი და აუთენტური დანიშნულებისათვის ამქვეყნად? რას აღმოვაჩენთ, თუკი ჩვენს ყურადღებას წმინდა გარეგნული მოვლენების ჯამიდან გადავიტანთ მისი შინაგანი მიზეზების და შედეგების ჯამზე, მის კავშირებსა და მნიშვნელობაზე, მოკლედ, მთელი იმ ფარული სინამდვილის სივრცეზე, რომელზეც ამ მოვლენებს მხოლოდ საერთო-სახალხო მნიშვნელობა უნდა მიეღოთ? ამის შემდეგაც შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩვენი საზოგადოება შეკავშირებულად?

გავბედავ ვამტკიცო, რომ არავითარ შემთხვევაში. ვბედავ ვამტკიცო, რომ მიუხედავად ყველა, გარეგნულად სასიამოვნო ფაქტორისა — **ჩვენი საზოგადოება შინაგანად არა თუ სრულებით არ არის კონსოლიდირებული**, არამედ პირიქით, იგი თანდათან სულ უფრო და უფრო ღრმა კრიზისში ვარდება, კრიზისში, რომელიც ნებისმიერ სხვა კრიზისზე უფრო საშიშია; რაც კი ჩვენს თანამედროვე ისტორიას ახსოვს.

ვეცდები ეს ჩემი მტკიცება დავასაბუთო.

ძირითადი კითხვა, რომელიც აქ უნდა დაისვას. ასე ჟღერს; კერძოდ, **რატომ** იქცევა ხალხი ისე, როგორც იქცევა; რატომ აკეთებს ყოველივე იმას, რაც მთლიანობაში აბსოლუტური ერთიანობის იმპოზანტურ შთაბეჭდილებას ქმნის საზოგადოებისა, რომელიც ყველაფერში მხარს უჭერს თავის მთავრობას? ვფიქრობ, რომ ყოველი მიუკერძოებელი დამკვირვებლისათვის პასუხი ნათელია: მათ **შიში** აიძულებთ.

სამსახურის დაკარგვის შიშით მასწავლებელი ისეთ რამეებს ასწავლის, რისიც თავად არ სჯერა; თავის მომავალზე შიშით მოწაფე ამასვე იმეორებს; შიშით, რომ ველარ შესძლებს სწავლის გაგრძელებას, ახალგაზრდა შედის ახალგაზრდობის კავშირში და ასრულებს იქ ყველაფერს, რასაც მოსთხოვენ; შიშით, რომ მისი შვილი ამაზრზენ პოლიტიკურ-ქულობრივ სისტემაში ვერ მოიპოვებს ქულების საჭირო რაოდენობას, მამა კისრულობს უამრავ სხვადასხვა ფუნქციას, და როგორც „მოხალისე", ასრულებს ყველაფერს, რაც მოეთხოვება; შესაძლებელი შედეგების შიშით ხალხი მონაწილეობას იღებს არჩევნებში, ირჩევს შემოთავაზებულ კანდიდატებს და ისე იქცევა, თითქოს ამ ცერემონიას ნამდვილ არჩევნებად მიიჩნევს; არსებობის შესაძლებლობის, მდგომარეობის და კარიერის დაკარგვის შიშით ხალხი დადის კრებებზე, ხმას აძლევს რასაც მოსთხოვენ ან დუმს; შიშის გამო ხალხი ეწევა სხვადასხვა დამამცირებელ თვითკრიტიკას, ამბობს აღსარებას და არაგულწრფელად ავსებს აუარებელ ანკეტას; შიშით, რომ ვილაც დააბეზღებს, არავინ არ გამოთქვამს თავის ნამდვილ აზრს სახალხოდ და ხშირად ამას ვიწრო წრეშიც ერიდება. შესაძლებელი ყოფითი უსამართლობის შიშით და ასევე სურვილით, გაიუმჯობესონ მდგომარეობა და თავი მოაწონონ ზემდგომ ორგანოებს, მშრომელები იღებენ შრომით ვალდებულებებს, ამავე მისწრაფების გამო, ხშირად სოციალისტური შრომის ბრიგადებსაც კი აარსებენ, რომლებიც მოწინავედ ითვლებიან და მათი მთავარი დანიშნულება ისაა, რომ მათ შესახებ მოხსენდეს შესაბამის პატაკებში ზევით. შიშის გამო დადის ხალხი სხვადასხვა ოფიციალურ დღესასწაულებზე, დემონსტრაციებზე და პროცესიებზე. იმის შიშით, რომ შემდგომი მუშაობისათვის პირობები აღარ ექნება, ბევრი მეცნიერი და ხელოვანი მხარს უჭერს იდეებს, რომლისაც თავად არ სჯერა; წერს ისეთ რამეებს, რასაც არ ფიქრობს, ან იცის, რომ სწორი არ არის; შედის ოფიციალურ ორგანიზაციებში, მონაწილეობას იღებს ისეთ ღონისძიებებში, რომელთა ღირებულებაზეც ძალიან დაბალი აზრისაა, ანდა თვითონვე ჩეხავს და ამახინჯებს თავის ნაშრომებს. დაბოლოს, საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით ბევრი სხვებს სწამებს იმას, რასაც თვითონ სჩადის მათ მიმართ.

ის შიში, რომელზეც მოგახსენებთ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც შიში, ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ანუ, როგორც გარკვეული კონკრეტული ემოცია. ჩვენს იგრვლივ ფოთლებივით მოცახცახე ხალხის უმეტესობას კი არ ვხედავთ, არამედ თვითკმაყოფილ და თავდაჯერებულ მოქალაქეებს. აქ საქმე შიშის უფრო ღრმა, მე ვიტყოდი, ეთიკურ მნიშვნელობაშია, კოლექტიურ შეგნებაში, მუდამ და ყველგან არსებული საფრთხის, მეტად თუ ნაკლებად აღქმის ნილზე; ზრუნვა იმაზე, რაც უკვე არის, ანდა შესაძლებელია მომავალში ჩავარდეს საფრთხეში, თანდათახობითი შიჩვევა ამ საფრთხისა, როგორც ბუნებრივი სამყაროს სუბსტანციური ნაწილისა: თანდათან სულ უფრო ტევადი, ბუნებრივი და მოხერხებული ათვისება გარეგნული არსებობისადმი შეგუების სხვადასხვა ფორმებისა, როგორც თავდაცვის ერთადერთი პროდუქტიული საშუალებისა.

რა თქმა უნდა, თანამედროვე საზოგადოებრივი სტრუქტურის ერთადერთ საშენ მასალას მხოლოდ შიში არ წარმოადგენს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც რჩება ძირითად საშენ მასალად, რომლის გარეშეც ვერასოდეს ვერ იქნებოდა მიღწეული ის გარეგნული ერთიანობა, დისციპლინა და ერთსულოვნება, რასაც ეყრდნობა ოფიციალური დოკუმენტების მტკიცება ჩვენი კონსოლიდაციის შესახებ.

რა თქმა უნდა, იბადება კითხვა: კერძოდ, რისი ეშინია ხალხს? პროცესების? წამების? ქონების დაკარგვის? დეპორტაციის? სიკვდილით დასჯის? რა თქმა უნდა, არა, სრულებითაც არა. საზოგადოებრივი წნეხის ეს ბრუტალური ფორმები, საბედნიეროდ, ყოველ შემთხვევაში ჩვენს პირობებში, ისტორიას ჩაბარდა. წნეხის დღევანდელი ფორმები უფრო დელიკატური და დახვეწილია, და თუმცა დღესაც დგება პოლიტიკური პროცესები (საყოველთაოდ ცნობილია მათი თვითმპყრობელური მანიპულირების უნარიანობა), ისინი დღეს უკვე მხოლოდ უკიდურეს საფრთხეს წარმოადგენს, მაშინ როდესაც, ძირითადი სიმძიმე **ეგზისტენციალური წნეხის** სფეროშია გადატანილი, რაც პრინციპულად ბევრს არაფერს ცვლის: ცნობილია, რომ საფრთხის აბსოლუტურ ღირებულებას, არასოდეს არ ენიჭება ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც მის პირობით ღირებულებას, იმას, რასაც ადამიანი ობიექტურად კარგავს; საქმე ისაა, თუ როგორი მნიშვნელობა აქვს მას ადამიანისათვის იმ სამყაროს ჰორიზონტზე, რომელშიც იგი ცხოვრობს თავის ღირებულებათა იერარქიითურთ. ანუ, მაგალითად: ეშინია რა დღევანდელ ადამიანს თავისი სპეციალობით მუშაობის საშუალების დაკარგვისა, ეს შიში შეიძლება ისეთივე ძლიერი იყოს და იმავე საქციელამდე მიიყვანოს იგი, როგორამდეც მიიყვანდა სხვა ისტორიულ პირობებში, როცა მას ქონების კონფისკაცია ემუქრებოდა. ეგზისტენციალური დაწოლის მეთოდი გარკვეული თვალსაზრისით გაცილებით უნივერსალურიცაა: რადგან ჩვენში არ არსებობს მოქალაქე, რომელიც ეგზისტენციალურად არ იქნება დაზარალებული (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), ყველას აქვს ის, რისი დაკარგვაც შეიძლება, მაშასადამე, ყველას აქვს შიშის მიზეზი. ადამიანის შესაძლო დანაკარგის სკალა მდიდარია: ყველა განსაკუთრებული შესაძლებლობიდან მოყოლებული, გამომდინარე მმართველი კლასის სხვადასხვა უპირატესობებიდან და ძალაუფლებიდან — მუშაობის მშვიდ პირობებამდე; დაწინაურებიდან და ხელფასიდან დაწყებული — თავისი სპეციალობით მუშაობისა და სწავლის საშუალების დაკარგვამდე და იქამდე, რომ მას წაერთვას უფლება, იცხოვროს შეზღუდული იურიდიული უშიშროების იმ საფეხურზე, რომელზეც დანარჩენი მოქალაქეები და არ მოხვდეს იმ განსაკუთრებულ **ფენაში**, რომლისთვისაც არ არსებობს ის კანონები, რაც არსებობს სხვებისთვის, ანუ **ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური აპარტეიდის** მსხვერპლთა შორის. დიახ, როდესაც დასაკარგი აქვს, სულ უკანასკნელი შავი მუშაც კი შეიძლება მოხვდეს უფრო უარეს და დაბალხელფასიან ადგილზე და მასაც შეიძლება ძვირად დაუჯდეს, თუკი კრებაზე ან სამიკიტნოში თავის ნამდვილ აზრს გამოთქვამს.

ეგზისტენციალური დაწოლის ეს სისტემა, რომელიც სრულად მოიცავს მთელ საზოგადოებასა და ყოველ მოქალაქეს, ახლა უკვე როგორც კონკრეტული ყოველდღიური მუქარა, ან როგორც საყოველთაო შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, წარმატებით ვერ იმოქმედებდა, რომ არ ჰქონოდა ზუსტად ისევე, როგორც იმ გადალახული წნეხის ბრუტალურ ფორმებს, თავისი ბუნებრივად გამეფებული საყრდენი იმ ძალაში, რომელიც უზრუნველყოფს მის უნივერსალობას, კომპლექსურობას და ძლევამოსილებას — **ყველგან არსებული და ყოვლისშემძლე სახელმწიფო პოლიცია.** ამ შემზარავ ობობას მთელი საზოგადოება სიგრძე-სიგანეზე აქვს გადაქსოვილი თავისი შეუმჩნეველი აბლაბუდით, იგი ის ზღვრული წრფეა, რომელშიც საბოლოოდ შიშის ყველა ხაზი იკვეთება, ყოველი მოქალაქის უიმედო მცდელობის ის საბოლოო და გაუბათილებელი საბუთია, რომელიც შეუძლებელს ხდის, ადამიანმა წინააღმდეგობა გაუწიოს საზოგადოებრივ ძალაუფლებას. და მიუხედავად იმისა, რომ ხალხის უმეტესობა, მეტწილად ამ აბლაბუდას თავისი თვალით ვერ ხედავს და ვერ ეხება, ყველაზე ტლუ მოქალაქემაც კი იცის მისი არსებობის შესახებ, ყოველ წამს და ყველგან ანგარიშს უწევს მის ჩუმ არსებობას და ამის შესაბამისად იქცევა: ანუ ისე, რომ გაუძლოს მის მალულ თვალსა და ყურს და კარგადაც იცის, რატომაც უნდა გაუძლოს: ეს ობობა რომ მის ცხოვრებაში შეიჭრას, ამისათვის სულაც არაა აუცილებელი ადამიანი პირდაპირ მის ბრჭყალებში მოექცეს; სულაც არაა სავალდებულო, რომ იგი ან დაკითხულ იქნას, ან ბრალდებული, ანდა დასჯილი. მასზე ზემდგომნიც ამ აბლაბუდით არიან გადაქსოვილნი და ყოველი ინსტანცია, რომელიც მის ბედს წყვეტს, ასე თუ ისე, სახელმწიფოს პოლიციასთან თანამშრომლობს, ან უნდა თანამშრომლობდეს და ამიტომ თვით ფაქტი, რომ სახელმწიფო პოლიციას შეუძლია ნებისმიერ დროს შეიჭრას ადამიანის ცხოვრებაში, — ასეთი შემოჭრისგან კი თავის დაცვა შეუძლებელია, — საკმარისია იმისათვის, რომ მისმა სიცოცხლემ დაკარგოს ბუნებრიობისა და აუთენტურობის წილი და მუდმივ თვალთმაქცობად იქცეს.

რადგან ადამიანის თავდაცვითი მისწრაფებების უკან დგას შიში, გადაარჩინოს ის, რაც აქვს, მერე სულ უფრო და უფრო ხშირად შეგვიძლია მივადევნოთ თვალი, თუ როგორ იქცევა **ეგოიზმი და კარიერიზმი** მისი შემტევი მისწრაფებების მთავარ მოტორად, რათა მოიპოვოს ის, რაც აქამდე არ ჰქონდა.

ვგონებ, უკანასკნელ ხანებში საზოგადოებრივი სისტემა იშვიათად აძლევდა ასე თავისუფლად და წინააღმდეგობის გარეშე თვითგამოხატვის საშუალებას იმ ხალხს, რომელიც თანახმაა, ნებისმიერ დროს ნებისმიერი რამის მომხრე იყოს, თუ ეს მას სარგებელს მოუტანს; უპრინციპო და უხერხემლო ხალხს, რომელიც თანახმაა, ძალაუფლებისაკენ სწრაფვისა და საკუთარი კეთილდღეობისათვის ჩაიდინოს ყველაფერი; ლაქიური წყობის ხალხს, რომლისთვისაც არა აქვს მნიშვნელობა არანაირ თვითდამცირებას და რომელიც ყოველთვის მზადაა გასწიროს მოყვასი თვისი და საკუთარი ღირსება იმისათვის, რომ ამა ქვეყნის ძლიერთ მოაწონოს თავი. ამგვარ პირობებში შემთხვევითი არაა, რომ ამდენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი თანამდებობა უკავიათ ცნობილ კარიერისტებს, ოპორტუნისტებს, ავანტიურისტებს და უზნეო ხალხს, ან უბრალოდ ტიპიურ კოლაბორაციონისტებს, ანუ იმათ, ვისაც აქვთ განსაკუთრებული თვისება, ნებისმიერ სიტუაციაში დაირწმუნონ თავი, რომ თავისი ბინძური სამუშაოთი ეგრეთ წოდებულ რაღაცას გადაარჩენენ, ან, ყოველ შემთხვევაში, ხელს უშლიან უარესებს იმაში, რომ მათი ადგილი დაიკავონ. ბოლოს და ბოლოს ასეთ ვითარებაში არც არის შემთხვევითი, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში სწორედ დღეს მიაღწია უმაღლეს მწვერვალს სხვადასხვა საზოგადო მოღვაწეთა კორუმპირებულობამ, მათმა მზადყოფნამ სრულიად დაუფარავად ნებისმიერ რამეში აიღონ ქრთამი და განახორციელონ თავისი გადაწყვეტილებები ყოველგვარი სირცხვილის გარეშე, უპირველეს ყოვლისა, იმ მოსაზრებები, რომელსაც მათ კარნახობს მრავალფეროვანი პატივმოყვარული პირადი ინტერესები.

რაოდენობა ხალხისა, რომელსაც გულწრფელად სჯერა ყველაფრისა, რასაც ქადაგებს ოფიციალური პროპაგანდა, და უანგაროდ მხარს უჭერს სახელმწიფო ძალაუფლებას, დღეს გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. სამაგიეროდ, მომრავლდნენ ფარისევლები — გარკვეულ საზღვრამდე ყოველი მოქალაქე იძულებულია პირმოთნე იყოს.

რა თქმა უნდა, ამ არასასიხარულო სიტუაციას თავისი ლოგიკური მიზეზები აქვს: ბოლო წლებში არასოდეს ყოფილა რეჟიმი გარეგნულად ასე მცირედ დაინტერესებული ლოიალური მოქალაქეების ჭეშმარიტი აზროვნებითა და მათი სიტყვების გულწრფელობით, საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ, მაგალითად, არავის არ აინტერესებს ხალხი გულახდილად ეწევა თვითკრიტიკასა და ამბობს აღსარებას, თუ პირადი სარგებლობისათვის, იმისი თქმაც კი შეიძლება, რომ მეტნაკლებად ავტომატურად ეწევა ანგარიში სწორედ ამ მეორე დაშვებას; ხალხი ამაში არაფერ ამორალურს არ ხედავს სწორედ იმ პირადი სარგებლის გამო, რასაც ეს საქციელი მას მოუტანს. არავინ ცდილობს, მომნანიებელი დაარწმუნოს, რომ იგი ცდებოდა, პირიქით, მას არწმუნებენ, რომ თუ თავის გადარჩენა სურს, უნდა მოინანიოს. ამასთანავე ოსტატურადაც აზვიადებენ შანსს, რომელსაც ამ გზით მოიპოვებს. მაშინ, როდესაც მწარე გემო, რომელიც ამისთანა აღსარების შემდეგ რჩება პირში, გაუფასურებულია, როგორც რაღაც ცრუ ჩვენება. ხოლო მართლაც რომ აღმოჩენილიყო ისეთი შერეკილი, რომელიც ყოველივე ამას მართალი და წრფელი გულით გააკეთებდა და დაამტკიცებდა კიდეც შესაბამისი ჯილდოს აპრიორული უარყოფით, უეჭველია, რომ იგი თვით რეჟიმისათვის იქნებოდა საეჭვო.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ გარკვეული სახით ჩვენ ყველანი მოსყიდულები ვართ; თუ საწარმოში მიიღებ ამა და ამ ფუნქციას (ცხადია, არავითარ შემთხვევაში არა ყველასათვის, არამედ მხოლოდ საწარმოს ხელმძღვანელთათვის მსახურების საშუალებას), დაგასაჩუქრებენ ამა და ამ უპირატესობით. თუ შეხვალ ახალგაზრდათა კავშირში, მოიპოვებ ამა და ამ გართობის უფლებასა და საშუალებას. თუ, როგორც შემოქმედი, მიიღებ მონაწილეობას ამა და ამ საქმეში, დასაჩუქრდები ჭეშმარიტი შემოქმედებითი შესაძლებლობებით. იფიქრე, რაც გინდა — თუ გარეგნულად დაგვეთანხმები, თუ ხელს არ შეგვიშლი, თუ დათრგუნავ შენს მიდრეკილებას სიმართლისა და სინდისისადმი — ყველა კარი შენთვის ყურთამდე ღია იქნება.

რასაკვირველია, თუკი საზოგადოებრივი გამოყენების ძირითადი პრინციპი **გარეგნული** ადაპტაციის პრინციპია, მაშინ როგორი თვისებები უნდა იქნას მობილიზებული ხალხში და რა ხალხი შეიძლება მოექცეს სათავეში?

შიშით განგებული სამყაროს წინაშე თავდაცვასა და სამყაროს შეტევით მოპოვებას შორის, რასაც კეთილდღეობისაკენ პირადი მისწრაფება მართავს, არსებობს სფერო, რომლის მხედველობიდან გაშვება შეცდომა იქნებოდა, რადგანაც ისიც მნიშვნელოვანწილად ქმნის დღევანდელი „ერთიანი საზოგადოების" მორალურ კლიმატს. ეს სფერო არის გულგრილობა და ყველაფერი ის, რაც მასთანაა დაკავშირებული.

ჩეხურიდან თარგმნა

მაკა ნაჭყებიამ.

(გაგრძელება იქნება)

რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, თედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №5

იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა №29

ინდექსი?..

ფასი 50 კაპ.